პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 9

2014 წ. "20" 06

ქ.თბილისი

შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-ის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245445004) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 330-ით.
2. შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემია BPA-ს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ივნისის №3 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახაბერ ერაძე

მდივანი
ლალი ღოღელიანი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მე-3 საფეხური	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
2	ბუღალტრის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა	მე-3 საფეხური	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მოანგარიშე	45
3	ბუღალტრის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა	მე-4 საფეხური	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-ტექნიკოსი	45
4	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მე-3 საფეხური	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მე-4 საფეხური	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6	კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მე-3 საფეხური	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60